

სნოის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 311.

ხუთშაბათი, 28 აპრილი 1905 წ.

გაზეთის № 2806.

დღიურიდან

მკითხველს უფრო

ეს პაწია ქალაქის ფურცლები სრულიად შემთხვევით ჩამოვარდა ხელში. გეტყვი როგორათა, მაგრამ ნუ თუ სულ ერთი არ არის შენთვის? დღეს-დღეობით მე იგი შენ თვალთა წინ დამიდგია და შენც „ხილი იხილო“... შეიძლება სჯობდა, თვით პატრონისათვის გამეზახენა! კარგად ვიცნობ; შენც კარგად იცნობ, მკითხველო, მაგრამ ამ ხელათ ეს ვამჯობინე საჯაროდ მიმეწვდინა მისთვის მისი „დღიურა-ი“ და, დღე, არ ვინაველი, თუნდა ამისთვის „ჯოჯოხეთით“ პირამ-კმით მომწვედეს!

1904 წ. თებერვალი 12.

ოო, რამდენი ხანია არ მომიმართავ შენთვის, ჩემო დღიურა!.. ახლაც საიდანღა გამოჩნდი?

ისეთ ცუდ გუნებაზე ვიყავი დღეს!
მთელი დღე სახლში ვიყავ.

ფეტიკანოვობი.

სახელმწიფო ეგზამენი კარზედა მომდგარი.

მაგრამ დღეს, დღეს!

ჰმ, საკვირველი საქმე დამემართა!

გული ვერ დავუღმე ვერაფერს...

დიად, საკვირველი და არა უჩვეულო...

მოვიდნენ, მოსლავდნენ, მოადგნენ ჩემის გონების ბუკსა შავი ფიჭვები!

გულს მიკორტნიან, სულს მიხუთავენ და მიბოჭვენ.

რა კარგად ვიცნობ მათ!

ეს შავი ყორანია, დიდი, ფართო, შავი ფრთები აქვს.

ჩამოჯდება ჩემის გონების უდაბურებაში აღმოცენებულს ერთ ღამეზე ხზე. ეგ ზეთის ხილის ხეა. იწონებ რომ მტრედს ნისკარტით შტო მოატანინა. ვერ ხარობს კარგად, თუცა ირგვლივ ამობუნ, რომ მულამ ვგრე იჯახირებსო...

მულა?

— სანამ არ მოვეკვებით.

ჰო, ჩამოჯდება ამ ხზეც ეს ყორანი და მიბნელებს ყოველივეს.

არა, შემილიო კი არა ვარ.

ეს ჩემი წარმოდგენაა და, რამდენადაც შეიძლება, მართალი, ზედ-გამოჭრაო.

ხშირად მემართება ესე.

ამ ბოლო ხანებში მიანც.

დღეს ხმა... სულ ვეღარ ვიმეცადინე.

სახელმწიფო ეგზამენი კი კარგზეც მიკაუნებს.

პირში თითქო რაღაც მალაშე მიდევს.

ფუჰ, რა უგემურობაა!

ჰო აფფფფუსდი. სეირნობაც აღარ მინდოდა. ის იყო დამდებოდა კიდევ. ბნელიდა გარედ, ბნელიდა ჩემს ოთახში, ბნელიდა ჩემს სულშიაც.

საშინებოდა არ არის?

ანგარიშ მიუცემოდა ჩემს კალათაში ვიწყე ფათური.

ერთი წიგნი, ორი წიგნი.

ჩაყვითლებული, დამველებული, გაცვეთილ კანიან. ვიცნობ ამ მოაზროვნეთ, თუცა მათი წიგნები, ეტყობა რომ, რამდენიმე გვერდის მტერ, არც წაიხიოთხვს, გაუქრელია.

რისთვის დაშვებენ? რათ იზრომეს ჩემთვის ამდენი?

ერთი, ორი!

კედელს მივანარცხე ყველა.

რა მითხართ? რა გინდოდათ ჩემთვის გესწავლებინათ?

სად არის თქვენი ღრმა აზრები? სად ჩაქველა ჩემს გონებას?

აქ კი სახელმწიფო ეგზამენი.

დრო მიდის.

თითქო ვარკვევით მომესმა კარებზე კაკანი.

გულ-გამებებულმა გავაღე კარები. ბნელია. ვერავის ვერ ვარხვე. არა, არავინ არ არის.

— Мавруша! — გავიხებ მსახურს.

— Что, барин?

— Никаго не принимать. Сашпете? Никаго. Занимаюсь.

— Хорошо, барин!

კარები ჩაეკეტე. კალათიდან კვლავ ქალაქები ამოვავრობე.

ლექციები, ლექციები, ლექციები ვიღაც დამაყვებულს პრაფესორისა. არეულ-დარეული, ჩაბრახტული, საწერ მათი ნახე გადლებული.

შორს!

ეს რა ქალაქდებია?

მიჯღამული, მოჯღამული. ჩემი ნაშრომი.

ჰმ... ჩემი ნაშრომი?!

ჰა-ჰა! შემიწიან, სიცილმა არ გადამიტრანს!

კიდევ, კიდევ ქალაქდები...

ხელები მითრთის, ვცახცახებ.

რა მემართება?

რას ვეცბე ასე ვაცხარებო?

ვეტნობ, რომ თვალები ანთებული მაქვს; უთუოდ ცუდი შესახდავი ვარ.

„შუბლზე ცივი ოფლი, ვეტნობ რომ, ნელ-ნელა მოვივანავს.

ოო, ძლივს!

აი თურმე რას ვეცბედი?!

ეს ჩემი დღიურია. ქალაქდ ბროვაში თავმდაბლად, თითქოს დარცხენით გამოყო თავი.

კალათთან ჩავიკეტე.

რა დაგვალულვარა?

კოტა დავმშვიდდეთ.

ეს ჩემი დღიურია: რა კარგ დროს მაგონებს იგი? ამ ოთხი წლის წინეთ, არა კიდევ უფრო ადრე, ვიყავე ეს პაწია, კოტა რვეული. მაშინ კიდევ გინაზიამ ვიყავე.

შე!

მაშინ აღმოცენდა ჩემი ზეთის ხილის ხე.

ყორანი?

რაღაც არ მახსოვს! მაშინ მხოლოდ ქაირშლისა მეშინოდა—ეს მშვენიერი მცენარე არ ვადამიმტეროოს-მეთქი.

ეს შავფრთებიანი კი შემდეგ მოვირნადა.



არ მახსოვს მაგის შემოპარვა, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ერთ დღეს საშინელი სიცივე ვიგრძენ სულში...

სულში!
თურმე ყორანი აბარტუნებდა დიდს, ფართოს, ჩაშვე-
ბულს ფრთებს, სიცივე იქიდან მოდიოდა...
დღიური?

როგორ ჩაყვითლდებოდა საწყალობელი!
დიდება ხანმა გაიარა განა, რომ ხელი არ მიხლია მის-
თვის?

მთელი სამი წელიწადი!
საყვრელი არ არის, აქამდის
როგორ არ დაიკარგა მისელა-მოსელა-
ში? მაგრამ არა, მაგ გვარებში ყო-
ველთვის სუსტი კაცი ვიყავი—ძალიან
იშვითად დამკარგვია რამე.
რაც ხელში მომხვედრია, ის მუ-
დამ შემიძახებს, ჩემთან მქონია, მხო-
ლოდ დავიწყებია, ო, დამვიწყებია
და მერე როგორ დამვიწყებია—წლო-
ბითაც კი.

მთელი სამი წელიწადი!
ეს კარგად არკვევს ჩემ ხსიათის
ერთ მხარეს!
მე ვიცი, რასაც ვწერ.
დიად, სამი წელიწადი!
ეს სიყვითლე?
ეს ხევისა ჩემის სულისა...
აბა გადავფურცლოთ.

„189 მანია.“

ო, რა შორს არის ეს დრო! რა
შორს არის მაშინდელი ყოველივე!
რა შორს ვარ თურმე ახლა იმ აზრ-
ბისაგან!

ზეთის ხილის შტო?
იქ ყოველივე სჩქეფს და გა-
მოდუნს.
იქ გოლოვთას წმინდა ბეგია.
შორს ჯვარი მოსჩანს, ჯვარი
გარშემო კი წამებულნი დამწკრი-
ვებულან.

კაცო უსამართლობის მიერ დაჩაგრულთა კბილის ღრქე-
ნა მოისმის.

კენსა-ღალაღათ მოკულოია იქაურობა.
ისიხლი სდუნს, სისხლი სჩქეფს მუნ საბრძოლველად.
იქ შორიდან მოსჩანს დიდებულნი ცისკარი.
მუნ „ბორკილის ხმა მტერებისა“ მოისმის.
იქ განმზადდო ქაბუეს ხედავ, სინათლისკენ მდვარს,
რომელიც მზად არის გასწავლით, თუ როგორ უნდა თვით
სიყვდილიც, სიყვდილიც... იღვისათვის.

აქ კი...
ყური დავუდგე.
არა, არავინ არ აკეთუნებს, მაგრამ... სახელმწიფო ეგზა-
მენი კარებზეა მომდგარი.
ო, ღმერთო, რათა ვარ ასე შორს ამ წიწარსულთან?
ნუ თუ ასე მალე მოვხვდები?
თუ დაესუსტდი?
მხრებზე დავიხედე.
ვერ ავზიდავ ტვირთს?
აქ სულ სხვა რამეა.
ქალის აბრეშუმის კაბის შრიალი მესმის.
მის „კომპრომისს“ უწოდებენ.
აქ კუქია საქმე.
ოო, ღმერთო, ეს რა ვთქვი?
ნუ თუ ასეთი მზეცი ვარ?

არა, მზეცი კი არა, მზეციობიდან გამოსული პირტუტყვი
ვარ!
არა, არც ეგ.
პირტუტყვიობიდანაც თავდაღწეული ვეღური ვარ.
მხოლოდ ვეღური სერთუსა და გახამებულს პერანგში
გამიკიშული.
ისეთი ვეღური, რომელსაც ხელ და ზეგ დაღს დამაქ-
რავენ—ნება აქვს ჩვენის ცთომილის ქვეყნის საპატრიო მოქა-
ლექთ იწოდებოდესო.

საშინლება არ არის?
მე კარგად ვგრძნობ ამას.
ო, ნება ეს გრძნობაც არ მოე-
ცა შემოქმედს?
როგორ მცივა, რა საშინლად
მცოვა სულში!
ნება ვინ იცის, თუ რა არის
ასეთი სიცივე?
მივჯექ საწყრადა.
მარწამს, რომ დღიური კათოლი-
კების „განსაწმენდლის“ მსგავსი რამ
არის.

ეს ინდოელთა განცნის წყალია,
სულიერათ განმზანელი წყარო.
აღსარებაა, ჩუმი ლოცვა, საუ-
ბარი უხილაის წინაშე.
მერე როგორ გვეშვება ხოლმე
გულს?

თითქო რაღაც მძიმე ლოდი ჩა-
მოგორგო.
ერთხელ კიდევ განა არ მტკი-
ცდება ამითიც, რომ „დიდი ლხინია
ჭირთა თქმა“...

მაგრამ კარგი.
თავს მივეც კითხვა:
როგორ ვცხოვრობდი ამ სამ
წელიწადს?


მე, როგორ ვცხოვრობდი?
როგორ ვცხოვრობთ ყველაჩვენს,
უმრავლესობა სტუდენტებისა?

წინეთიერად გაქირებულად, სულიერად აღუღებულათ.
თქმა არ უნდა, ეს მაქრის დულილია, დულილი სწორად
გაშვებულნი, გიმეფური.
ზოგჯერ ქურქული ტუდმა კიდევ, იმტრებვა დულილი-
საგან...

თუმც უფრო სწორად, საბოლოოდ რა გვჩვენა ხელში?
გავყვეთ კვალ-დაკვალ ამ ახირებულ შედარებას:
პირველი წელიწადი—ამზობი, ამზობი, ამზობი!
მეორე — ამზობსა და მაქარს შუა.
მესამე — ცხელი მაქარი.
მეოთხე?
ღმერთო, რა დროს მეცინება?
მეოთხე მღვრივა კიდევ, დაუწმენდელი.
მაქრობიდან გამოსული ღვინოა, მაგრამ ღვინო კიდევ
არ არის.

ზოგჯერ, პირველსავე ამზობის შემდეგ ნაჭარი ღვება.
ტბილი, ძალია რომ არა აქვს, იმისთანა სასმელი.
აი ქაღვიბს რომ უყვარს.
უხშირესად კი მღვრია გამოდის.
აი აქ არის უმთავრესი საკითხი: ბოლოს ყუათიანი, სამ-
კურნალო ღვინო დაღვება, თუ არა.

მეტ ვგერ ვცხოვრობდი.
ახლა-ღა?



ქ
ქემალ ფაშა.
ოსმალელი მწერალი.
(იხ. იხ. ფ. №)



მეთხავი ქაიშა.

აბა, ველარას ვიტყვი.

მცოცა მხოლოდ, საშინლად მცოცა სულიერათ.

ეს გარბენილი ღრო, საცა აუქუ მოხედვაც კი ვერ მო-

მისწვრიაა, რას მეთუბნება?

ათასი აზრი აღმეძრა, იმდენივე „საქირ-ბორბოტო“ სა-

კითხს წაფიწლი.

გული ისწრაფოდა, გრანობა ჩქარობდა სამოქმედოთ.

ფრთები შემესხა.

ძალა მომეცა მოურვენილი.

ვინ იყო ჩემთან სამსონი?!

გონების გოლიათს რად მიწოდოდა ვირის ყბა ფილისტი-

მელთა გასაწყვეტათ?

ან კი ვასაწყვეტათ მუშაობა ჩემს

„პროგრამაში შედილა“?

მე ამშენებელი ვიყავი.

სულ ახალი აღმგებელი ახალსა

და სრულს ყაიდაზე სამთელქვეყნო,

მსოფლიო, სანტეარო ცხოვრებისა.

ახლა-ღა?—ვიკითხავ კიდევ.

თვით ხსენებულ ვირის ყბის აწე-

ვაც... დილა, არ შემიძლიან.

თვით ეს ყბა ისე დიდად მჭეფენე-

ბა, რომ მეშინიან თვით არ ჩანთქას.

ზომ ვიცი, რომ მკვდარია, მავ-

რამ ვგრე აქვს კბილები დაღრეჯილი,

ზედ წამოვეცემები-მეთქი ვფიქრობ.

ჰმ, რამ დამიმოწილა ესე?

რამ დამიმონადა?

სად არის ჩემი ქედ-მალღური

სურვილები?

სით „გადიხაურა“?

შრ... შრ... შრ...

კომპრომისის ტანსაცმელი შრი-

ალებს.

ცული სურათია!

ცხოვრების მეთველყურენი ამას ერთის კალმის მოსმით

ახსნიან.

ზოგი სულის სიღაჩრეს მიაწერს, ან ხასიათის განუმტ-

კიცებლობას, ზოგი ყოველივეს სათავეს სოციალურ მღგო-

მარეობაში ეძებს და ზოგიც სხვას ბევრს რასმე, მაგრამ მე

აბა რას მარგებს ყველა მათი ჩამოთვლა, როდესაც ჩემთვის,

ვიტყვი იმერულად, „ასე კია და.“

ო, ეს „ასე კია და!“

როგორ მყარი კედელივით წამოგყულებდა წინ და შენ,

თუ გინდა, შუბლი ამტყრე.



—სავერეგლია, რად უკვას ჩემ ტრამაის ვაგონში ხალხს უპებელად თქიდან ჩა-
ჯლომა, საითაც ვახათ გადებული
—ამიტომ რომ ვერ ისევე ვახს რეკობენ უთფინს.

შენ „არა გმირმა“, ჩვეულებრივმა.
 რა საბაგელი სიტყვა ეს სიტყვა — ჩვეულებრივი.
 როგორ მოხზირდა.

არა, ნიჩნეანი არა ვარ, მაგრამ ასეთი ვაძვევუა ყველა-
 ში, ასეთი გაერთიანება, ლალა გადასმულობა მინც მადრწუ-
 ნებს და სულს მიბოკავს.

რა არს წამალი?

აბა რას ვკითხულობ?

საიდან შემიძლიან მე იმისი ხელთ-გდება?

ჩემი საჭმე მხოლოდ ოხვრაა, გმინვა სულისა!


რა მართალი იყო ბარათაშვილი: „ოხვრა არის შეგმა
 უბედურისაო!“
 შეგმა?
 როგორი?
 ...

იგნისი, 7.

ამ სტრიქონებს რიყის გზის საღვურზე ვწერ.

წსევის მოლოდინში, „დღიური“ ჯიბიდან ამოვიღე და
 ფურცელა დავუწყე.

ჰმ, რა დამიწერია 12 თებერვალს!



ტფილისის საქალაქო ხორცის ღუწუნებისა გამო.



შეგოვე. კეე. წინანდელი დრო უნდა იყოს რომ მალე დაკარგოთ!

შეგნიერ გუნებაზე ვიყავი და...
 სულ წამწარადა.

უკვე ვალ-მოხდის, „დიპლომანს“ სი-
 ბარულით მიტოკავდა გული, რომ მიღე მშო-
 ბერე მზარის პერს ჩავისუნტებამეთქი და აქ
 კი...

მაგრამ იყოს.
 ამოხვევა მინდოდა ამ ფურცლებისა და
 დარჩეს.

იმდენი სიმნე მინც უნდა მქონდეს, რომ
 ჩემსავე სასტიკ აღსარებას გულის ჯიბეში მა-
 ინც გაფუძლო.

მაგრამ აი ზარიც.
 ეჰ, მინც არ ვიტყვი „მშვიდობით“-ს.
 კიდევ წინ, წინ...
 საითკენ?
 აბს!

კიდევ მკითხველს.

მხოლოდ აქ მოყვანილი ფურცლები
 მაქვს ნაბოგნი და რო ეს ფურცლები ნამდვი-
 ლდ გადაწერილია, ამას ვამოწმებ

შალვა დადიანი

რედაქტორ-გამომცემელი ბლ. შ. ჯანაშვილი